საქართველოს განათლების სამინისტრო
ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა
ეროვნული ინსტიტუტი

სახელმწიფო საგანმანათლებლო

სტანდარტი ქართულ ლიტერატურაში

Standards in Georgian Literature

1997 წელი

Georg-Eckert-Institut
für internationale
Schulbuchforschung
Braunschweig
-Schulbuchbibliothek -
2000/186

ქართული ლიტერატურის სტანდარტი შემუშავებულია განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. ცნობილია, რომ კანონით სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი სკოლის „... საფეხურებისა და სწავლების ხანგრძლიობის საფუძველზე ადგენს სასწავლო დისციპლინათა ნუსხას, განსაზღვრავს სასწავლო საგნების ციკლთა შორის თანაფარდობას, სასწავლო დატვირთვის დასაშვებ მაქსიმუმს, სასწავლო პროგრამის შინაარსის სავალდებულო მინიმუმს, კურსდამთავრებულთა მომზადების აუცილებელი დონის კრიტერიუმებს საფეხურების მიხედვით და მოსწავლეთა მიდრეკილების გათვალისწინებით, სწავლების დიფერენცირების ზღვრულ ნორმებს, აგრეთვე სასწავლო მატერიალური ბაზისა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატიულ მოთხოვნებს“ (მუხლი 6). ამ ჩამონათვალიდან ეს სტანდარტი განსაზღვრავს სწავლების შინაარსის სავალდებულო მინიმუმს.

შემდგენლები: ლ. ვაშაკიძე
ელ. თაბორიძე

GE
Z-9
(197)

განხილულია და მოწონებული ქართული ენის სასწავლო-მეთოდურ საბჭოზე
(ოქმი №5, 11 ოქტომბერი, 1996 წელი)

ლიტერატურა, როგორც სასწავლო საგანი

ლიტერატურის, როგორც სასწავლო საგნის განხილვისას ორი ასპექტია გასათვალისწინებელი: ერთი მხრივ, იგი წმინდა შემოქმედებითი პროცესის შედეგია, ხელოვნების დარგია, მეორე მხრივ კი, შემეცნების პროცესს - ინტელექტუალურ აქტივობას უკავშირდება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ის მოიცავს აშკარად გამოხატულ ირაციონალურ ელემენტებს.

ლიტერატურა გაიაზრება, როგორც ხელოვნების დარგი - მხატვრული სინამდვილის სფერო. იგი სიტყვიერი ხელოვნებაა, სამყაროს ესთეტიკური წვდომის უნივერსალური ფორმაა და მკითხველზე ზემოქმედების უდიდესი ძალა აქვს. უნდა გვახსოვდეს, რომ ენა, რომელიც ლიტერატურის "მასალას" წარმოადგენს, არ არის თავისთავად პასიური, ინერტული მასალა – ქვა ან ფერი. იგი ამა თუ იმ ერის კულტურული მემკვიდრეობას ასახავს.

ლიტერატურის, როგორც სასწავლო საგნის, გააზრება შეუძლებელია საზოგადოებრივი შემეცნების ისეთ ფორმებთან კავშირის გარეშე, როგორიცაა რელიგია და მეცნიერება. ყოველ შემთხვევაში მეცნიერება ლიტერატურის შესახებ მჭიდრო კავშირშია ისეთ ჰუმანიტარულ დარგებთან, როგორიცაა: ეთიკა, ესთეტიკა, ხელოვნებათმცოდნეობა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა, ენათმეცნიერება, ისტორია და სხვ.

ლიტერატურა, როგორც სასწავლო საგანი, ენათმეცნიერების დისციპლინებთან ერთად ხელს უწყობს მოსწავლის წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის ფორმირებას; მხატვრულ დისციპლინებთან კავშირში ავითარებს ესთეტიკური ჭვრეტისა და აღქმის უნარს, ხოლო საზოგადოებრივ დისციპლინებთან ერთად აზროვნებაში აყალიბებს ისტორიზმის პრინციპებს, შეხედულებებს ადამიანის საზოგადოებრივი დანიშნულების შესახებ.

ლიტერატურის სწავლების ზოგადი მიზნები და შინაარსის შერჩევის პრინციპები

ლიტერატურის ბუნება და როლი განსაზღვრავს მისი, როგორც სასწავლო საგნის, მიზანსა და შინაარსს.

ლიტერატურის სწავლების ზოგადი მიზანი უნდა გავიაზროთ ორგვარი პოზიციიდან, რაც გამომდინარეობს მისი ფუნქციებიდან

ლიტერატურა ხელოვნების დარგია. ამიტომ მისი, როგორც სასწავლო საგნის, პირველი ფუნქციაა:

- მაღალმხატვრული მოთხოვნებისა და გემოვნების ფორმირება, ლიტერატურასთან დამოუკიდებელი მიმართების ჩამოყალიბება - მომავალი მკითხველის აღზრდა;
- ლიტერატურის, როგორც კულტურის ფენომენის, გააზრება, მშობლიური კულტურის გათავისება;
- პიროვნების კულტურულ-ემოციური სამყაროს განვითარება;
- შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
- ლიტერატურული ენის თავისუფალი და გააზრებული ფლობა.

სასწავლო საგანი და, საერთოდ, მთლიანად სწავლების პროცესი უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა. იგი პიროვნების ფორმირების ერთ-ერთი აქტიური, ქმედითი საშუალებაა. ამ თვალსაზრისით ჰუმანიტარული ციკლის საგნების და, განსაკუთრებით, მშობლიური ლიტერატური სწავლებას უდიდესი როლი ენიჭება. ამიტომ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ლიტერატურის, როგორც სასწავლო საგნის, მეორე ფუნქციას. ესაა:

- ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურ, დემოკრატიულ ღირებულებათა გათავისება;
- საკუთარი რელიგიური და იდეური მსოფლმხედველობის ფორმირება; განსხვავებული რელიგიური თუ იდეური მსოფლმხედველობისადმი

- ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- პატრიოტული აღზრდა;
- ფსიქოლოგიურად ჯანსაღი პიროვნების ფორმირება;
- სოციალური და მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბება.

ლიტერატურის, როგორც სასწავლო საგნის, შინაარსის განსაზღვრისას საჭიროა

- მასალა შეირჩეს ესთეტიკური თვალსაზრისით - საუკეთესო მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებები.
- საპროგრამო მასალა არ იყოს ერთფეროვანი. მასში წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ეპოქის, მიმდინარეობის, ჟანრების, თემატიკის ნიმუშები, რომლებიც მიზანმიმართულად უნდა ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.
- აუცილებელი საგანმანათლებლო ბაზის შექმნა მოხდეს თანდათანობით. ამიტომ იგი ძირითადად ემყარებოდეს ფოლკლორის, კლასიკოსთა ნაწარმოებების, პუბლიცისტიკის, ესეების, კრიტიკული წერილების ეტაპობრივ შესწავლას.
- მშობლიური ლიტერატურის სწავლება ითვალისწინებს კავშირს მსოფლიო ლიტერატურასთან, სხვა ერების კულტურულ მონაპოვართან. ამ მიზნით საკითხავ მასალად გამოყენებულ იქნას მაღალ დონეზე შესრულებული ნათარგმნი ლიტერატურა.
- მასალის შერჩევისას გასათვალისწინებელია ასაკობრივი მომენტი - მოზარდის გონებრივი განვითარების დონე და ინტერესი. ამავე დროს სწავლება წინ უნდა უსწრებდეს განვითარებას და სტიმულს აძლევდეს მას.
- ასაკობრივი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, შერჩეული მასალა დადებით გავლენას ახდენდეს მოზარდზე. დასაცავია ემოციური ბალანსი. არ შეიძლება მოზარდის გადატვირთვა ემოციურად მძიმე მასალით.
- ნაწარმოების შერჩევისას ყურადღება მიექცეს ლიტერატურის, როგორც სასწავლო საგნის, საზოგადოებრივ მნიშვნელობას; თუმცა დაუშვებელია, მხატვრულ ნაწარმოებს მხოლოდ აღმზრდელობითი ფუნქცია მივანიჭოთ, ზნეობრივი აღზრდის ფაქტორს დავუქვემდებაროთ ლიტერატურის ესთეტიკური ფუნქცია.

ლიტერატურის სწავლების ეტაპები

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა რამდენიმე ეტაპს მოიცავს, რაც მოსწავლეთა ასაკობრივი ფაქტორების გათვალისწინებით სათანადო საგანმანათლებლო ამოცანებს გვისახავს. თანამედროვე სკოლა სამ საფეხურად იყოფა: 1) დაწყებითი სკოლა (I-VI კლასები); 2) ძირითადი სკოლა (VII-IX კლასები) და 3) საშუალო სკოლა (X, XI, XII კლასები).

საგანმანათლებლო სტანდარტებიც ამ საფეხურების შესაბამისად უნდა იქნას გააზრებული. მაგრამ კონკრეტული საგნის სწავლებას თავისი შინაგანი საფეხურები გააჩნია, იმისდა მიხედვით, თუ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ასაკში რა ამოცანა შეიძლება დადგეს და გადაიჭრას.

ამ შინაგანი საფეხურების გასააზრებლად საჭიროა ორი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინება: ერთია მოზარდის ფსიქოლოგიური განვითარების დონე; მეორე კი ის, თუ მოცემული საგანი რა ასპექტებით უნდა ისწავლებოდეს.

ლიტერატურა მრავალი თვალსაზრისით შეიძლება იქნას შესწავლილი, მაგრამ ამ საგნისადმი მეცნიერულ მიდგომას უფრო ხშირად სამ მიმართულებად ყოფენ: ლიტერატურის თეორია, ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა. ამდენად, ლიტერატურის სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გათვალისწინებას, თუ რა ლიტერატურულ-მეცნიერულ ამოცანას ვაყენებთ, კომბინირებისა და კომპლექსური შესწავლის რა ფორმებს მივმართავთ.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, მშობლიური ლიტერატურის სწავლება შეიძლება შემდეგ ეტაპებად დაიყოს:

- დაწყებითი განათლება, I-IV კლასები, როდესაც ენისა და ლიტერატურის სწავლება კომპლექსურად გაიაზრება და მოზარდის დაწყებით საგანმანათლებლო საყრდენს ქმნის.

- დაწყებითი განათლების დასკვნითი ეტაპი - (V-VI კლ.) ლიტერატურული კითხვის დაწყებითი საფეხური.

- საბაზო განათლება (VII-IX კლასები). აქ ლიტერატურის სწავლება შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს: ა) VII-VIII კლასები - ლიტმცოდნეობის დაწყებითი საფეხური, ბ) IX კლასი - ლიტერატურის ისტორიის სწავლების დაწყებითი საფეხური.

- ზედა საფეხური (X, XI, XII კლასები) - ლიტერატურის ისტორიის სწავლების საფეხური.

საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნები

მართალია, ზემოთ ჩამოთვლილ სწავლების ეტაპებს თავისი საკუთარი ნიშნები და ამოცანები გააჩნია, მაგრამ თითოეული მათგანის მიმართ უნდა შემუშავდეს მოთხოვნები, რაც სრულყოფილად გამოავლენს მათ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს, შექმნის სწავლების ეტაპობრივი განვითარების მთლიან სურათს, დაადგენს საგანმანათლებლო სტანდარტებს. ამიტომ თითოეული ეტაპისათვის საგანმანათლებლო დონის დასადგენად უნდა გავითვალისწინოთ:

- მოზარდთა ასაკობრივი თავისებურებანი;
- შესასწავლი საგნის შინაარსი;
- შესასწავლი საგნის მიმართ მეცნიერული მოთხოვნების დონე და ასპექტები - ლიტერატურათმცოდნეობითი ამოცანები;
- წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა;
- კითხვის კულტურა;
- მოსწავლის ძირითადი პრაქტიკული საქმიანობა;
- ცოდნის შემოწმების გზები და საშუალებები;
- მინიმალური საპროგრამო მოთხოვნები.

მშობლიური ლიტერატურის სწავლების საგანმანათლებლო სტანდარტები

დაწყებითი განათლების დასკვნითი ეტაპი - ლიტერატურული კითხვის დაწყებითი საფეხური (V-VI კლასები)

შესასწავლი საგნის შინაარსი

საკალდებულო საპროგრამო მასალა

სწავლება ძირითადად ეყრდნობა ქართული კლასიკური მწერლობის სხვადასხვა სახისა და ჟანრის ნაწარმოებებს, რომლებიც ძირითადად (და არა მთლიანად) ქმნის სბავშვო ლიტერატურის "ოქროს ფონდს". აქვე უნდა დაიწყოს კლასიკური ლიტერატურის სწავლების ეტაპობრივი პრინციპის განხორციელება, მისი ერთ-ერთი მაგალითია შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" ეტაპობრივი სწავლება. უნდა შეირჩეს მაღალმხატვრული ტექსტები, რაც თანდათან ჩამოაყალიბებს მოზარდის ლიტერატურულ გემოვნებას. ცნობილია, რომ ამ ასაკის მოზარდს იტაცებს ნაწარმოების სიუჟეტი. რა თქმა უნდა, მასალის შერჩევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ეს ფაქტორიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა უგულებელვყოთ მისი ლიტერატურული ღირებულება. ამ ასაკის ბავშვის აზროვნებისათვის დამახასიათებელი ფაქტორებიდან გამომდინარე, თავი უნდა ავარიდოთ ისეთი მასალის სწავლებას, რომელიც მეტნაკლებად აბსტრაქტულ აზროვნებას მოითხოვს. იგი ძირითადად რეალისტური წვდომის გზით უნდა აცნობდეს მოზარდს სამყაროს. მართალია, ამ ასაკის მოზარდი მიჯნავს ფანტაზიასა და სინამდვილეს, მაგრამ ლიტერატურული მასალა ისე უნდა შეირჩეს, რომ ხელი შევუწყოთ წარმოსახვის უნარის განვითარებას. ნელ-ნელა შევაჩვიოთ, რომ ხელოვნება არ არის რეალობის პირდაპირი ასახვა. იგი აუცილებლად შეიცავს გამონაგონს.

შერჩეული მასალა ძირითადად უნდა ეყრდნობოდეს თანამედროვე სალიტერატურო ენას (განსაკუთრებით პროზაული ნაწარმოებები). თუმცა პარალელურად, მინიმალური დოზებით, უნდა გავაცნოთ ძველი მწერლობის თითო-ოროლა ძალიან მცირე ზომის ნიმუში, რათა ამ თვალსაზრისითაც განვახორციელოთ ეტაპობრივი სწავლების პრინციპები და მოვამზადოთ მოზარდი თავის დროზე ძველი მწერლობის სერიოზული შესწავლისათვის.

უნდა გამოვიყენოთ ამ ასაკისათვის ნიშანდობლივი აქტივობის ძლიერი ტენდენცია და შევუქმნათ მოზარდს საზეპირო მასალის სათანადო ბაზა, რომელიც მომავალში იქნება გაანალიზებული.

ამ ეტაპზე პროგრამა ძირითადად უნდა დაეყრდნოს ფოლკლორისა და მშობლიური ლიტერატურის ნიმუშებს. რა თქმა უნდა, ადრეა პუბლიცისტიკის, ესეებისა და კრიტიკული წერილების შეტანა.

შესასწავლი ნაწარმოებები ერთმანეთთან შეიძლება დავაკავშიროთ შინაგანი ლოგიკით, გავაერთიანოთ ე.წ. თემატურ რკალებში. ამავე დროს დაცული უნდა იყოს ჟანრობრივი მონაცვლეობა, სიძნელე-სიიოლის თანაფარდობა.

ნაწარმოების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას მისი მეორე - აღმზრდელობითი ფუნქციაც. ამ ეტაპზე უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ზოგადი ზნეობრივი პრინციპების ჩამოყალიბებას, ვიდრე სოციალურ პრობლემებს. ამავე ასაკში უნდა ჩაეყაროს საფუძველი პატრიოტულ აღზრდასაც.

ყურადღება უნდა მიექცეს ემოციური ბალანსის დაცვას. არ შეიძლება დიდი დოზით მივაწოდოთ ისეთი ლიტერატურა, თუნდაც საბავშვო, რომელიც ძლიერ ემოციურ გავლენას ახდენს მოზარდზე. შერჩეული მასალა უნდა გაზავდეს ლაღი, გამოკვეთილ აღმზრდელობით ფუნქციას მოკლებული, ზოგჯერ მხოლოდ ესთეტიკური ტკბობის მიმნიჭებელი ნაწარმოებებით.

სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა

სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი მასალა უნდა მოიცავდეს როგორც მშობლიური, ასევე მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებს, იგი უნდა უკავშირდებოდეს შესასწავლ მასალას, ავსებდეს და ამრავალფეროვნებდეს მას, მეტ ცოდნას იძლეოდეს შესასწავლი მწერლის შესახებ. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებები, არამედ მოგონებები, ისტორიული ნარკვევები, მწერლის პირადი წერილები, ჩანახატები და სხვ. თუმცა ამ მასალის შერჩევისასაც დაცული უნდა იყოს ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი პრინციპები.

დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად საკითხავი ლიტერატურა

დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად საკითხავი ლიტერატურა უნდა განისაზღვროს მასწავლებლისა და მშობლის შერჩევითა და რეკომენდაციით. გათვალისწინებული უნდა იქნას მოზარდის ნიჭი, უნარი, მოთხოვნები და ინტერესები. ამ შემთხვევაშიც დაცული უნდა იყოს მასალის შერჩევის ძირითადი პრინციპები. საკითხავი ლიტერატურა დაწერილი უნდა იყოს თანამედროვე სალიტერატურო ენაზე. მასწავლებელი ზოგადი კითხვებით უნდა ამოწმებდეს მოზარდის ნაკითხობასაც, თუმცა წაკითხული მასალა ვერ იქცევა კლასში მსჯელობის საგნად. იგი

მხოლოდ კლასგარეშე მუშაობის პროცესში შეიძლება იქნას ჩართული.

შესასწავლი საგნის მიმართ მეცნიერული მოთხოვნის დონე და ასპექტები - ლიტერატურათმცოდნეობითი ამოცანები

მოზარდთა ფსიქოლოგიური განვითარების შესაბამისი დონიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე საჭირო არაა ლიტერატურათმცოდნეობითი საკითხების თეორიული მიწოდება.

მოსწავლემ არა თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული გამოცდილების დონეზე უნდა გააცნობიეროს, თუ რა არის ლექსი, მოთხრობა, ზღაპარი, ანდაზა, გამოცანა და ა.შ. ასევე მხოლოდ დაფიქსირების მიზნით მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ბუნების აღწერაზე, პორტრეტზე, ავტორისეულ დახასიათებასა და პერსონაჟებზე, ზოგ შემთხვევაში ელემენტარულ დონეზე იმსჯელოს მთავარ და მეორეხარისხოვან, დადებით და უარყოფით პერსონაჟებზე. ასევე თეორიული მსჯელობის გარეშე, უფრო ემოციური აქცენტირების გზით ყურადღება უნდა გაამახვილოს ესთეტიკურ მომენტებზე, ლიტერატურათმცოდნეობისათვის საინტერესო ზოგიერთ ელემენტზე, მაგალითად, იმ ადგილებზე, სადაც ერთი მოვლენა ან საგანი შედარებულია მეორესთან.

წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა

ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამომეტყველებით კითხვას, სადაც მთავარია სწორი ინტონაციური მახვილების, პაუზების დასმა და არა მხოლოდ ემოციური ფონი. ამ თვალსაზრისით სასურველია, გამოყენებულ იქნას პროზაული ტექსტებიც.

მოსწავლეებს უნდა გამოუმუშავდეს თხრობის კულტურა. ამისათვის საჭიროა მოვთხოვოთ ნაწარმოების მოკლე შინაარსის ან რომელიმე ეპიზოდის მოყოლა, ბუნების სურათის, პერსონაჟის აღწერა, ავტორისეული ფრაზების გამოყენებით ტექსტთან მიახლოებით თხრობა. მოზარდი ნელ-ნელა უნდა შევაჩვიოთ მსჯელობას, ნაწარმოების გმირის შესახებ საუბარს, წაკითხული წიგნით, ნანახი ფილმითა თუ სურათით მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემას.

მეტყველების კულტურის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზეპირო მასალის დასწავლას. სასურველია, ამ მიზნით პროზაული ტექსტების გამოყენებაც. პერიოდულად უნდა შემოწმდეს უცნობი ტექსტის კითხვის ტექნიკაც.

კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს წერითი სამუშაოების მეთოდურად სწორად წარმართვა. მოსწავლეს არ უნდა მიეცეს ისეთი დავალება, რომელსაც იგი დამოუკიდებლად ვერ დაძლევს და იძულებული გახდება, უფროსებს მიმართოს დასახმარებლად. ეს ხელს უშლის დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების განვითარებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შესწავლილი მოთხრობების მოკლე შინაარსის ან ეპიზოდის შინაარსის წერილობით გადმოცემას, წაკითხულის შინაარსის წერას, სურათის აღწერას, მოთხრობის შედგენას, კითხვებზე წერილობითი პასუხის გაცემას.

მოსწავლეს შეიძლება ვაწერინოთ მისი ასაკისათვის შესაფერისი მოკლე „თავისუფალი თემა“, მოვთხოვოთ საკუთარი შთაბეჭდილებების წერილობით გადმოცემა, მაგრამ ამგვარმა სამუშაოებმა არ უნდა დაიჭირონ წამყვანი ადგილი. ამ ეტაპზე საკმაოდ ხშირად უნდა ტარდებოდეს საკლასო და საკონტროლო წერები.

კითხვის კულტურა

როგორც უკვე ითქვა, ლიტერატურის სწავლების ერთ-ერთი მიზანია ინტელექტუალური, გემოვნებიანი მკითხველის აღზრდა. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად კითხვის კულტურის განვითარებას, რასაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. მასწავლებელი ზოგადი კითხვებით უნდა ამოწმებდეს მოზარდის ნაკითხობას, აძლევდეს რეკომენდაციებს, სწავლების პროცესში ლიტერატურულ მასალასთან მიმართებაში აღუძრავდეს მოსწავლეს დამატებითი კლასგარეშე ლიტერატურის წაკითხვის სურვილს, უსახელებდეს შესწავლილი მწერლის სხვა ნაწარმოებებს, რომლებიც რეკომენდირებულია ამ ასაკის მოზარდისათვის. მოსწავლე უნდა ეცნობოდეს მსოფლიო საბავშვო ლიტერატურას. უნდა მიეცეთ არდადეგებზე საკითხავი ლიტერატურა. მართალია, სწავლების პროცესში არ იქნება ჩართული დამოუკიდებლად საკითხავი მასალა, მაგრამ მოსწავლის ნაკითხობა ყველანაირად უნდა იყოს სტიმულირებული და დაფასებული მასწავლებლის მიერ. იგი გარკვეულ გავლენას უნდა ახდენდეს მოსწავლის შეფასებაზე.

მოსწავლის ძირითადი პრაქტიკული საქმიანობა

- სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის შინაარსის გადმოცემა, ცალკეული ეპიზოდის თხრობა.
- ლექსებისა და პროზაული საზეპირო მასალის დასწავლა.
- მუშაობა კითხვის ტექნიკაზე.
- საკონტროლო, საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოების შესრულება (წაკითხულის შინაარსის, ნასწავლი მასალის მოკლე შინაარსის, ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა, სურათის აღწერა, მოთხრობის შედგენა, ბუნების აღწერა, პერსონაჟის აღწერა, თავისუფალი თემის დაწერა).
- მასწავლებლის დახმარებით შეცდომების გასწორება საკონტროლო სამუშაოების რვეულში.
- საშინაო დავალებაში დაშვებული შეცდომების დამოუკიდებლად გასწორება.
- მსჯელობა ტიპური შეცდომების შესახებ.
- გაკვეთილის პროცესში აქტიური ჩართვა (კითხვებზე პასუხის გაცემა, საუბარი პერსონაჟის, ნაწარმოების თუ თავისუფალი თემის ირგვლივ).
- კლასგარეშე სავალდებულო და ინდივიდუალურად საკითხავი ლიტერატურის წაკითხვა;
- კლასგარეშე შემოქმედებით მუშაობაში მონაწილეობის მიღება (მასწავლებლის მუშაობის ინდივიდუალური მეთოდებიდან გამომდინარე, შეიძლება გამრავალფეროვნდეს მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობა).

ცოდნის შემოწმების გზები და საშუალებები

ამ ეტაპზე მოსწავლე ძირითადად გაკვეთილის პროცესში მოწმდება. ჯერ ვერ გამოვიყენებთ ინდივიდუალური ჩათვლის მეთოდს.

- ნაწარმოების ეპიზოდისა და მოკლე შინაარსის თხრობა.

- საზეპირო მასალის ცოდნის შემოწმება (მთლიანი ან ფრაგმენტული გამოკითხვით).
- კითხვის ტექნიკის შემოწმება (უცნობი ტექსტიდან მცირე მონაკვეთის ხმამაღლა წაკითხვა)
- წერითი მეტყველების კულტურის განვითარების მიზნით საკონტროლო, საკლასო და საშინაო წერების ჩატარება და შემოწმება.
- შეკითხვების გზით მოსწავლის მინიმალური დაწყებითი ლიტერატურული ცოდნის დონის დადგენა, სწრაფი ლოგიკური აზროვნების, მსჯელობის უნარისა და მეტყველების კულტურის შემოწმება.
- ცოდნის მინიმუმის დასადგენად ამ ეტაპზე შეიძლება გამოყენებულ იქნას ტესტირების მეთოდიც, მაგალითად: რამდენიმე ვარიანტიდან სწორი პასუხის ამორჩევა.
- შესაძლებელია საკონტროლო კითხვების გამოყენებაც - მოცემულ კითხვებზე წერილობითი პასუხის გაცემა. კითხვა ისე უნდა იყოს დასმული, რომ მოსალოდნელი პასუხი იყოს მოკლე და კონკრეტული.
- ინდივიდუალური (თითოეულისათვის ცალკე) ტესტებისა და კითხვების საშუალებით გამოკითხვა გაკვეთილზე უნდა ჩატარდეს. ამგვარი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ რომელიმე ნაწარმოების ან გარკვეული თემატური რკალის შესწავლის შემდეგ.
- ზოგადი შინაარსობრივი კითხვებით კლასგარეშე საკითხავი მასალის (წაკითხვის) შემოწმება.
- მთავარია მიზანი - ცოდნის გარკვეული დონე. მის მისაღწევად მასწავლებელს უფლება აქვს, შეიმუშაოს თავისი მეთოდები და გამოკითხვის საკუთარი პრინციპები.

სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნები

მოსწავლემ უნდა:

- იცოდეს სავალდებულო საპროგრამო მასალა.
- კითხულობდეს სავალდებულო კლასგარეშე ლიტერატურას.

- აკმაყოფილებდეს ნაკითხობის მინიმალურ დონეს მაინც.

- გაბმით და გამართულად კითხულობდეს, სწორად სვამდეს მახვილს, პაუზებს, ჰქონდეს სათანადო ინტონაცია.

- შეეძლოს ტექსტის (წაკითხულისა თუ დასასწავლის) შინაარსის გადმოცემა, სასურველი ეპიზოდების ტექსტთან მიახლოებით თხრობა, პერსონაჟის შესახებ საუბარი.

- შეეძლოს წაკითხულის შინაარსის, ნასწავლი მოთხრობის მოკლე შინაარსის, ეპიზოდის შინაარსის, მოკლე ინფორმაციის დაწერა, მოსწავლე უნდა ასრულებდეს შემოქმედებით სამუშაოებსაც (თავისუფალი თემის წერა, შთაბეჭდილების გადმოცემა).

- ანსხვავებდეს ლექსს, მოთხრობას, ზღაპარს, იგავს, ანდაზას, გამოცანას და ა.შ. შეეძლოს მხატვრულ ტექსტში მასწავლებლის მიერ მითითებული ეპიზოდის, პორტრეტის, ავტორისეული დახასიათების მოძებნა. რაიმე ამოცანის შესაბამისად საჭირო მასალის ამოკრება ნასწავლი ტექსტიდან. ერთ თემატურ რკალში მოქცეულ ნაწარმოებებში (მასწავლებლის დახმარებით და შემდგომ დამოუკიდებლად) მარტივი პარალელებისა და ანალოგიების დაძებნა.

- წაკითხული ჰქონდეს სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა.

- მხოლოდ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში შეძლებს მოსწავლე შემდეგ ეტაპზე (VII-VIII კლასებში) სწავლის გაგრძელებას.

საბაზო განათლება
ლიტერატურის სწავლების პირველი - ლიტმცოდნეობის დაწყებითი საფეხური
(VII-VIII კლ.)

შესასწავლი საგნის შინაარსი

სავალდებულო საპროგრამო მასალა

სწავლება ძირითადად ეყრდნობა ქართულ კლასიკურ მწერლობას. ამ ეტაპზე საშუალება გვეძლევა შევქმნათ ჟანრობრივად და თემატურად მრავალფეროვანი სპექტრი. ასევე გრძელდება ეტაპობრივი სწავლების პრინციპი. შერჩეული ლიტერატურა გამოდის საბავშვო მწერლობის ფარგლებიდან. იგი, შეიძლება ითქვას, საპროგრამო ხასიათისაა. აქედან იზრდება და ნაწილობრივ იცვლება შესასწავლ მწერალთა სპექტრი. ამ ეტაპზე კიდევ უფრო დიდი არჩევანის საშუალება გვეძლევა. ამიტომ შერჩეული მასალის მხატვრულ დონესა და ესთეტიკურ ღირებულებას მეტი ყურადღება ექცევა. შესაძლებელი ხდება, ვასწავლოთ შედარებით დიდი ზომის ნაწარმოებები, თუმცა არა დიდტანიანი რომანები. ამ ასაკის ბავშვის აზროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნებიდან გამომდინარე, უკვე შეგვიძლია ისეთი მასალის მიწოდება, რომელიც მეტნაკლებად აბსტრაქტულ, განყენებულ აზროვნებას მოითხოვს.

ამ ეტაპზეც, მიუხედავად იმისა, რომ უფრო მეტი უფლება გვაქვს, შევქმნათ ენობრივად მრავალფეროვანი სპექტრი, ლიტერატურის სწავლება უნდა ეყრდნობოდეს თანამედროვე სალიტერატურო ენას (განსაკუთრებით პროზაული მასალა).

კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს ზრუნვა იმ ტექსტუალური ბაზის შექმნაზე, რომელიც იმჟამად ვერ იქნება სრულყოფილად გაანალიზებული, მაგრამ მომავალში აუცილებლად სრულყოფილად შეასრულებს თავის ფუნქციას.

მასალა ამ ეტაპზე შეიძლება არ დალაგდეს ქრონოლოგიური პრინციპით, თუმცა აქ უკვე შესაძლებელია მისი გამთლიანება ავტორთა მიხედვით. ნაწარმოებები ერთმანეთთან დაკავშირებული უნდა იყოს შინაგანი ლოგიკით, თუმცა ეს ლოგიკა ამჯერად უბრალო თემატურ რკალს კი არ უნდა ქმნიდეს, არამედ ისახავდეს ლიტმცოდნეობით ამოცანებს თუ სხვა განყენებულ მიზნებს.

ამ ეტაპზე ფოლკლორისა და მხატვრული ლიტერატურის გვერდით უნდა ისწავლებოდეს პუბლიცისტიკა, ესეები, წერილები.

ნაწარმოების შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას მისი აღმზრდელობითი ფუნქციაც. ამ ეტაპზე უკვე შეიძლება ზოგადსაკაცობრიო, რელიგიურ, ისტორიულ, სოციალურ საკითხებზე მსჯელობა, მოვლენის განზოგადება. პატრიოტული აღზრდის სფეროში შეიძლება შემოვიტანოთ ეროვნულ-კულტურული ფენომენის გაცნობიერების საკითხიც, პიროვნებისა და ერის ურთიერთობის პრობლემები, მოქალაქეობრივი აღზრდის მომენტები. თუმცა არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი არ უნდა განხორციელდეს ყალბი პათეტიკითა და მოჭარბებული ემოციური ფონით.

აუცილებელია, ჩამოთვლილი მოთხოვნების დაკმაყოფილება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს უმთავრესი პრინციპი - საუკეთესო მწერლების საუკეთესო ნაწარმოებების სწავლება.

სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა

სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა უნდა ეფუძნებოდეს როგორც მშობლიურ, ასევე მსოფლიო ლიტერატურას. იგი ამჯერადაც უნდა უკავშირდებოდეს შესწავლილ მასალას, მაგრამ ეს კავშირი ახლა არა მხოლოდ თემატურ, არამედ ლიტერატურულ ხასიათსაც უნდა ატარებდეს. მოსწავლე უკვე უფრო აქტიურად უნდა ეცნობოდეს შესასწავლ მწერალს, კითხულობდეს მის ნაწარმოებებს, მოხსნილია ჟანრობრივი შეზღუდვებიც.

სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი მასალა წინასწარ უნდა განისაზღვროს სახელმძღვანელოსა და პროგრამების შემდგენელთა მითითებითა და თავად მასწავლებლის სურვილით.

დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად საკითხავი ლიტერატურა

მასწავლებლისა და მშობლის როლთან ერთად ამ ლიტერატურის შერჩევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად მოზარდის არჩევანს, მის სურვილს. მას ამჯერად მეტ-ნაკლები თავისუფლება ენიჭება. უნდა გამოვრიცხოთ "აკრძალვის" ფაქტორი, მაგრამ ვეცადოთ, რომ მოსწავლე კითხულობდეს მაღალმხატვრულ ლიტერატურას. სწორედ ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნათარგმნ ლიტერატურას. რამდენადაც წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა ამ ეტაპზე მაინც ჩამოყალიბების პროცესშია, სასურველია, საკითხავი ლიტერატურა ძირითადად თანამედროვე სალიტერატურო ენაზე იყოს დაწერილი. მასწავლებელი ზოგადი კითხვებით უნდა ამოწმებდეს მოზარდის ნაკითხობას, თუმცა წაკითხული მასალა ვერ იქცევა კლასში მსჯელობის საგნად. იგი მხოლოდ კლასგარეშე მუშაობის პროცესში შეიძლება იქნას ჩართული.

შესასწავლი საგნის მიმართ მეცნიერული მოთხოვნების დონე და ასპექტები - ლიტერატურათმცოდნეობითი ამოცანები

მოზარდთა ფსიქოლოგიური განვითარების დონიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შესაძლებელია ლიტმცოდნეობითი საკითხების თეორიული სწავლება, თუმცა არც ამ ეტაპზეა საჭირო ლიტთეორიის სისტემური კურსის მიწოდება.

ლიტერატურის თეორიის საკითხებს შევისწავლით უკვე არა მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილების დონეზე, არამედ თეორიულად, მაგრამ მხატვრულ ნაწარმოებებთან უშუალო კავშირში. ზოგადი დაკვირვებებისა და ცოდნის შეძენის გზით მოსწავლემ უნდა იგრძნოს, რომ ლიტერატურული ნაწარმოები მხატვრული მთლიანობაა. ამიტომ მისი შესწავლის დროს უნდა გამოიკვეთოს ერთდროულად რამდენიმე ასპექტი, მაგრამ – არა ყველა. ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესასწავლი ნაწარმოების იმ ასპექტებზე, რომლებიც განსაკუთრებით გამოკვეთილია და მისთვის ნიშანდობლივი. ყველა საკითხი ჯერჯერობით ვერ იქცევა მსჯელობის საგნად, ზოგიერთი რამ მხოლოდ დაფიქსირდება და სხვა ნაწარმოებთან ერთად იქნება განხილული. ამავე დროს ერთი და იგივე საკითხი ლიტერატურის თეორიიდან არ შეიძლება ერთჯერადი მსჯელობის საგანი იყოს. მას არაერთხელ უნდა დავუბრუნდეთ, როგორც ერთი ნაწარმოების ფარგლებში, ასევე სხვა ნაწარმოების შესწავლისასაც. ამავე დროს წარმოვაჩინოთ მათი განმასხვავებელი ნიშნები, მრავალგვარი ფუნქცია. ამ პრინციპით უნდა იქნას შესწავლილი თითქმის ყველა თეორიული საკითხი.

ამ ეტაპზე მოსწავლე უკვე თეორიული ცოდნის დონეზე უნდა ასხვავებდეს ლიტერატურულ ჟანრებს, ერკვეოდეს, თუ რა არის მხატვრული სინამდვილე, მხატვრული სახე, საბაზო ცოდნა ჰქონდეს ტროპის სახეებში, საწყის დონეზე ერკვეოდეს ნაწარმოების კომპოზიციაში, იცოდეს ლექსთწყობის უმთავრესი საკითხები, თვალს ადევნებდეს პერსონაჟის ხასიათის განვითარებას, შეეძლოს მისი დახასიათება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლიტერატურის თეორიის შესწავლა არ უნდა ხდებოდეს მათემატიკური სიზუსტით დადგენილი "წესებით"; აქ გამოყენებული უნდა იყოს ე.წ. "საუბრის მეთოდი". ლიტერატურის თეორიის საკითხები საუბრის თემად უნდა იქცეს ყველა შესაძლო შემთხვევაში, წარმოჩინდეს მისი მრავალმხრივი ასპექტები. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ტექსტზე მუშაობას. ამავე დროს ტექსტი კი არ უნდა გამოვიყენოთ ლიტერატურის თეორიის შესასწავლად, არამედ ლიტერატურის თეორია ტექსტის სწორად წასაკითხავად, მასში ესთეტიკური, წმინდა ლიტერატურული ასპექტების

დასაფიქსირებლად. ამ გზით უნდა აღვზარდოთ გემოვნებიანი მკითხველი, რომელსაც შეუძლია ჭეშმარიტი ლიტერატურით ტკბობა.

წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა

ამ ეტაპზე მოსწავლის ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა საკმაო დონეს უნდა აღწევდეს. მოსწავლეს უნდა გააჩნდეს კითხვის სრულყოფილი ტექნიკა. გამომეტყველებითმა კითხვამ შეიძლება შემოქმედებითი სახე შეიძინოს და მუშაობის ამ ფორმამ, მოსწავლეთა სურვილისამებრ, კლასგარეშე საქმიანობაში გადაინაცვლოს. მოსწავლეს უკვე აღარ უნდა უჭირდეს შინაარსის თხრობა. აქცენტი ამჯერად გადატანილი უნდა იქნას ლოგიკური მსჯელობის განვითარებაზე. მოზარდი უნდა შევაჩვიოთ საკუთარი აზრის გამოთქმასა და დასაბუთებას სხვათა ნააზრევის, ციტატების, ტექსტის გამოყენებით.

შინაარსის თუ რომელიმე ეპიზოდის გამართულ თხრობასთან ერთად მოსწავლე სრულ და დამაჯერებელ პასუხს უნდა სცემდეს მასწავლებლის შეკითხვას, ლოგიკურად გაერთიანებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ ამთლიანებდეს საკითხს. უნდა შეძლოს პერსონაჟთა დახასიათება ან რომელიმე პრობლემის ირგვლივ მსჯელობა.

ამ ეტაპზე უფრო ხშირად შეიძლება მივმართოთ განყენებულ თემებს. მათზე მსჯელობისას მოსწავლე უნდა ახერხებდეს არა მხოლოდ ემოციების, არამედ საკუთარი აზრის გადმოცემასაც, რასაც ფაქტებით ლოგიკურად უნდა ასაბუთებდეს.

ამ ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წერითი სამუშაოების მრავალფეროვნება. იშვიათად შეიძლება, მივმართოთ ეპიზოდთა შინაარსის წერას, ხშირად მივცეთ ისეთი შინაარსობრივი ხასიათის დავალება, სადაც მოსწავლეს მოუხდება რამდენიმე ეპიზოდის გამთლიანება. წინა ეტაპთან შედარებით უფრო ხშირად შეიძლება მივმართოთ თავისუფალ თემებზე მუშაობას. მაგრამ ამან არ უნდა გაგვიტაცოს, რადგან ამ ეტაპზე უნდა ისწავლოს მოსწავლემ თხზულების წერა. ეს შეიძლება დავიწყოთ პერსონაჟთა დახასიათებით და ცოტა მოგვიანებით დავავალოთ უფრო ზოგადი პრობლემატიკის შემცველი თხზულებები. ასევე, თავდაპირველად უნდა მივცეთ დასაწერი თხზულების მოკლე გეგმა. ზოგ შემთხვევაში შეიძლება მოვითხოვოთ, რომ მოსწავლე შემოიფარგლოს გეგმაში მოცემული ერთი ან რამდენიმე საკითხით. მუშაობის ამგვარი მეთოდი გვიბიძგებს, მივმართოთ კომენტირებული შინაარსის წერას, სადაც მოსწავლემ უნდა გამოამჟღავნოს არა მარტო ტექსტის ცოდნა, არამედ მისი გარკვეული ანალიზის უნარიც. ამ მეთოდით ჩვენ ნელ-ნელა მივაჩვევთ ტექსტზე მუშაობას, მოგვიანებით მივცემთ ისეთ თემას, სადაც ორი ან მეტი ეპიზოდის გაანალიზება დასჭირდება, საბოლოოდ კი შეძლებს თხზულების

დაწერასაც. ამით ნელ-ნელა განვუვითარებთ ლიტერატურულ ხედვასა და აზროვნებას.

სასურველია, ნელ-ნელა თავი დავაღწიოთ სტერეოტიპულ მეთოდებს და ლიტერატურულ საკითხებს მეტი ყურადღება დავუთმოთ. შევაჩვიოთ მოსწავლე ლიტმცოდნეობით საკითხებზე მსჯელობასაც. თუმცა მასწავლებელმა საამისოდ სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები უნდა ჩაატაროს.

როგორც უკვე ითქვა, ამ ეტაპის ამოცანაა, მოზარდი მივაჩივოთ მსჯელობას და თხზულების წერას.

კითხვის კულტურა

ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად კითხვის კულტურის განვითარებას. სწორედ ახლა უნდა გამოიკვეთოს მოსწავლის ინტერესები და გემოვნება, თუმცა ჯერ არც ერთია ჩამოყალიბებული და არც მეორე. ამიტომ უნდა გაიზარდოს სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა. იგი უნდა მოიცავდეს მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ფართო სპექტრს. ამავე დროს მასწავლებელი ზოგადი კითხვებით არა მარტო უნდა ამოწმებდეს მოზარდთა ნაკითხობას, არამედ მეტ-ნაკლებად ითხოვდეს მათგან მწერლობის საუკეთესო ნიმუშების წაკითხვას, შესასწავლი მწერლის მეტ-ნაკლებად სრულად გაცნობას. ამ ასაკის მოზარდი გადის საბავშვო ლიტერატურის ჩარჩოებიდან. ამ ეტაპზე უნდა დაიწყოს განათლების ფუნდამენტური საფუძვლის ჩაყრა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლის რჩევას და მასწავლებლის რეკომენდაციებს, რათა აღვზარდოთ ინტელექტუალური, გემოვნებიანი მკითხველი. მოსწავლე უნდა დაინტერესდეს ლიტერატურული პრესითაც. ამ ეტაპზე მოსწავლეს უნდა შეეძლოს სწრაფი, ჩაღრმავებული, კომენტირებული კითხვა, წაკითხული ნაწარმოების შესახებ მსჯელობა.

მოსწავლეთა ძირითადი პრაქტიკული საქმიანობა

- სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის თხრობით დასწავლა.
- ცალკეული ეპიზოდების თხრობა, მოკლე შინაარსის მოყოლა, ეპიზოდების გამოკრებით თხრობა, კომენტირებული შინაარსის გადმოცემა.
- ლექსისა და პროზაული საზეპირო მასალის დასწავლა;
- ტექსტზე მუშაობა;
- პერსონაჟთა დახასიათება, ნაწარმოების მიხედვით განყენებულ საკითხზე მსჯელობა, მოცემული ლიტმცოდნეობითი ამოცანის დამუშავება;
- საკონტროლო, საკლასო და საშინაო წერითი სამუშაოების შესრულება (მოკლე შინაარსის, ეპიზოდის ან გამოკრებილ ეპიზოდთა შინაარსის დაწერა, კომენტირებული შინაარსის გადმოცემა, პერსონაჟის დახასიათება, მსჯელობა პერსონაჟის რომელიმე ერთ თვისებაზე და ა.შ.).
- გაკვეთილის პროცესში აქტიური ჩართვა;
- კლასგარეშე სავალდებულო საკითხავი ლიტერატურის წაკითხვა;
- კლასგარეშე შემოქმედებით მუშაობაში მონაწილეობის მიღება (მასწავლებლის მუშაობის ინდივიდუალური მეთოდებიდან გამომდინარე შეიძლება გამრავალფეროვნებულ იქნას მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობა).

ცოდნის შემოწმების გზები და საშუალებები

ამ ეტაპზე ძირითადად ორგვარი ამოცანა დგას: შევამოწმოთ შესწავლილი ტექსტის ცოდნა და განვსაზღვროთ მოსწავლის აზროვნების, მსჯელობის უნარი, მისი ცოდნა ლიტერატურის თეორიაში.

- ტექსტის ცოდნის შემოწმება - ეპიზოდების თხრობა, საზეპირო მასალის გამოკითხვა, ტესტებისა და კითხვარების გამოყენება. ფრონტალური გამოკითხვა.
- აზროვნების, მსჯელობის უნარის, ლიტერატურის თეორიაში ცოდნის დონის შემოწმება - ამ შემთხვევაში უფრო ხშირად კითხვა-პასუხის

მეთოდი უნდა იქნას გამოყენებული. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექსტის კომენტირებულ თხრობას, პერსონაჟთა დახასიათებას, პრობლემურ საკითხებზე მსჯელობას.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წერითი სამუშაოები. ამიტომ, საკონტროლო წერების გარდა, პერიოდულად უნდა მოწმდებოდეს დავალების შესრულების ხარისხიც.

შედარებით რთულია, მაგრამ შესაძლებელი აზროვნების, მსჯელობის უნარის შემოწმების მიზნითაც შეიქმნას ტესტები და კითხვარები.

ამ ეტაპზე მოსწავლე ძირითადად გაკვეთილის პროცესში მოწმდება. მაგრამ რამდენადაც მნიშვნელოვნად იზრდება შესასწავლი მასალის მოცულობა, საჭიროების შემთხვევაში ტექსტის ცოდნის შემოწმების მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ინდივიდუალური ჩათვლის მეთოდიც.

სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის დონის მისაღწევად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი მეთოდიკა და მისი შესაბამისი გამოკითხვის პრინციპები.

სტანდარტით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნები

- მოსწავლემ უნდა იცოდეს სავალდებულო სპროგრამო მასალა.
- მოსწავლე უნდა კითხულობდეს სავალდებულო კლასგარეშე ლიტერატურას;
- მოსწავლე უნდა აკმაყოფილებდეს ნაკითხობის მინიმალურ დონეს მაინც.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს არა მარტო შინაარსის თხრობა, არამედ ლოგიკური მსჯელობა, კომენტირებული შინაარსის მოყოლა, პერსონაჟის დახასიათება, ნაწარმოების ძირითადი პრობლემატიკის წარმოჩენა;

თეორიულად გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ მხატვრული ნაწარმოები ლიტერატურული მთლიანობაა - სიუჟეტი, კომპოზიცია, პერსონაჟები, მათი ურთიერთობა, დამოკიდებულება, სიტუაციური გარემო და გმირი, ხასიათის განვითარება, მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები;

ზოგადი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ლიტერატურული ჟანრების და სახეების, მხატვრული სინამდვილის, მხატვრული სახის შესახებ;

უნდა ახერხებდეს (ასაკის შესაბამისად) ლიტერატურული პარალელების

გავლებას, ანალოგიების დაძებნას;

ერკვეოდეს ლექსთწყობის ძირითად საკითხებში.

მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობა, ლექსიკონებისა და ცნობარების გამოყენება, ქრესტომათიაში ჩართული სამუშაო აპარატის გააზრება და პასუხის გაცემა.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს დამუშავებული თემის წერილობით გადმოცემა - მოკლე თხზულების დაწერა, თემატური შინაარსის, კომენტირებული შინაარსის, თავისუფალი თემის, შთაბეჭდილების დაწერა, კლასგარეშე საკითხავ მასალაზე მსჯელობა.

მხოლოდ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში შეძლებს მოსწავლე შემდეგ ეტაპზე სწავლის გაგრძელებას.

საბაზო განათლება.
ლიტერატურის სწავლების II ეტაპი - ლიტერატურის ისტორიის სწავლების დაწყებითი საფეხური

შემსასწავლი მასალის შინაარსი

საკალდებულო საპროგრამო მასალა

სწავლება, ძირითადად ეყრდნობა ქართულ კლასიკურ მწერლობას. ამ ეტაპზე კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს ჟანრობრივი და თემატური სპექტრი. ამჯერად უფრო დიდი არჩევანი გვაქვს, შეგვიძლია შემოვიტანოთ ნებისმიერი პერიოდისა და მიმდინარეობის თხზულება; ამჯერად უნდა მოხდეს სწავლების ეტაპობრივი პრინციპის ერთგვარი შეჯამება. მასალა უნდა დალაგდეს ქრონოლოგიურად. მოსწავლემ ლიტერატურა უნდა მოიაზროს ისტორიულ ასპექტში ანუ მას ეძლევა ლიტერატურის ისტორიის დაწყებითი მოკლე კურსი. აქედან გამომდინარე იქმნება არა მარტო ისტორიული სპექტრი, არამედ ჯამდება სწავლების ეტაპობრივ პრინციპში გათვალისწინებულ მწერალთა შემოქმედება.

ლიტერატურის ისტორიის სწავლების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე,

ამ ეტაპზე მოზარდმა უნდა შეისწავლოს კლასიკოს მწერალთა ბიოგრაფიები, გაეცნოს ეპოქის მიმოხილვას, მაგრამ მასში პრიორიტეტული ადგილი უნდა ეთმობოდეს არა ისტორიულ მოვლენებს, არამედ მსჯელობას შესაბამისი ეპოქის ესთეტიკურ შეხედულებებსა და ლიტერატურულ სპექტრზე.

რამდენადაც ცხრაწლიანი სკოლა დღეს აღიარებულია საბაზო განათლებად, მოსწავლემ უნდა აითვისოს სავალდებულო საგანმანათლებლო მინიმუმი, რომელსაც ჩვენი ეროვნული, ესთეტიკური თუ სოციალური მოთხოვნები განსაზღვრავს.

ამ ეტაპზე, როგორც უკვე ითქვა, უნდა მოხდეს შესწავლილ მწერალთა შემოქმედების გარკვეული შეჯამება. ამ მიზნით ახალი ნაწარმოების შესწავლასთან ერთად ყურადღება უნდა გავამახვილოთ უკვე შესწავლილი მასალის გამეორებაზე. მიზნად უნდა დავისახოთ მათი გამთლიანება და მწერლის ზოგადი ეთიკურ-ესთეტიკური პრინციპების წარმოჩენა. განსაკუთრებული მსჯელობის საგნად უნდა იქცეს იმ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება, რომელთა შესწავლაც ამ ეტაპზე უნდა დასრულდეს.

ამ ეტაპზე თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს ადრე ჩამოყალიბებული პრინციპები, კერძოდ, შეიძლება ვასწავლოთ შედარებით დიდი ზომის ნაწარმოებები, მაგრამ არა დიდტანიანი რომანები. უნდა მივაწოდოთ ისეთი მასალაც, რომელიც აბსტრაქტულ, განყენებულ აზროვნებასაც მოითხოვს.

შეგვიძლია შევიტანოთ ძველი მწერლობის ნიმუშებიც; უნდა ვიზრუნოთ იმ მასალის შესწავლაზე, რომელიც მწერლის მონოგრაფიული შესწავლის დროს თავის სათანადო ადგილს დაიმკვიდრებს და შესაბამის მნიშვნელობას შეიძენს.

ფოლკლორისა და მხატვრული ლიტერატურის გვერდით კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს პუბლიცისტიკის, ესეების, წერილების შესწავლაც.

ლიტერატურის აღმზრდელობითი ფუნქციის რეალიზაციის მიზნით ამჯერად სხვა ფაქტორებთან ერთად კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნულ-კულტურული ფენომენის გაცნობიერებას, ადამიანის დანიშნულების, მისი ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ფუნქციის გააზრებას, რაც უნდა განხორციელდეს ზოგადსაკაცობრიო ეთიკურ-ესთეტიკურ ღირებულებებზე დაყრდნობით.

საპროგრამო მასალის შერჩევისას არ უნდა დაგვავიწყდეს უმთავრესი პრინციპი - საუკეთესო მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებების სწავლება.

სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი მასალა

რამდენადაც IX კლასის პროგრამამ, ერთი მხრივ, უნდა შეაჯამოს და გაამთლიანოს ქართული ლიტერატურის ძირითადი ესთეტიკურ-ეთიკური ღირებულებანი, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა დასრულდეს საბაზო განათლება, ამ ეტაპზე გარკვეულწილად განსხვავებულ ელფერს იძენს სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა. იგი უნდა ეფუძნებოდეს როგორც მშობლიურ, ასევე მსოფლიო ლიტერატურას, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებული ადგილი ენიჭება მშობლიურ ლიტერატურას - იმ საპროგრამო მასალას, რომელიც ზედა საფეხურზე იქნება შესწავლილი. მწერლის რომელიმე ნაწარმოების პარალელურად უნდა მოხდეს არა მარტო ადრე შესწავლილის გამეორება, არამედ ამ შემოქმედის სხვა მნიშვნელოვანი თხზულებების წაკითხვაც, რაც აუცილებლად უნდა შემოწმდეს ან ზოგადი კითხვებით, ან ტექსტის შინაარსის ცოდნის შესამოწმებელი ტესტებით.

დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად საკითხავი ლიტერატურის შერჩევისას უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდის სურვილსა და მოთხოვნებს, მაგრამ ამ ასკის მოზარდი ჯერ ვერ ახდენს მაღალი ესთეტიკური ღირებულების მქონე ობიექტების ადეკვატურ შეფასებას. განვითარებას მხოლოდ იწყებს ესთეტიკური აზროვნება. მასწავლებლისა და მშობლის რჩევამ თავისი როლი უნდა ითამაშოს. ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ შეირჩეს საუკეთესო თარგმანები. მოსწავლემ, შეძლებისდაგვარად, სასურველია წაიკითხოს ძველი ქართული მწერლობის ნიმუშები, მაგრამ პრიორიტეტულ ადგილს ისევ თანამედროვე სალიტერატურო ენაზე დაწერილი თხზულებები იჭერს. მასწავლებელი ზოგადი კითხვებით არა მარტო უნდა ამოწმებდეს მოზარდის ნაკითხობას, არამედ ცდილობდეს იგი ჩართოს კლასგარეშე მუშაობაში.

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაიაროს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი პროგრამის სავალდებულო მასალა (მთლიანი პროგრამის 70%), ხოლო 30% შეავსოს მისთვის სასურველი და მოსაწონი ინდივიდუალური თუ საავტორო პროგრამებით.

შესასწავლი საგნის მიმართ მეცნიერული მოთხოვნების დონე და ასპექტები - ლიტერატურათმცოდნეობითი ამოცანები

ამ ეტაპზე ლიტერატურათმცოდნეობითი ამოცანები და მოთხოვნები კიდევ უფრო იზრდება. რამდენადაც მასალა ამჯერად ისტორიული პრინციპით ლაგდება და შესაძლებელი ხდება, თვალი გავადევნოთ ესთეტიკური აზროვნების განვითარებას, ამდენად საჭიროა, მოზარდს გავაცნოთ სხვადასხვა მიმდინარეობა, წარმოვაჩინოთ მათი სპეციფიკა. ამ მიზნით კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდეთ უკვე შესწავლილ თეორიულ მასალას, გავაღრმავოთ და გავამრავალფეროვნოთ იგი.

თეორიული მასალა ორგანულ კავშირში უნდა იყოს ნაწარმოებთან, რომელიც უნდა გაანალიზდეს, როგორც მხატვრული მთლიანობა. თუ ადრე ნაწარმოებთან მიმართებაში ვაშუქებდით რამდენიმე გამორჩეულ თეორიულ საკითხს, ამჯერად ლიტერატურის თეორიამ გარკვეულწილად სისტემური ხასიათი უნდა შეიძინოს - ერთმანეთს უნდა შეერწყას ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურის ისტორიის ელემენტები. ამ პრიციპიდან გამომდინარე, თეორიული საკითხი არა თუ არ უნდა იქცეს ერთჯერადი მსჯელობის საგნად, არამედ მას უნდა დავუბრუნდეთ ყველა შესაძლებელ შემთხვევაში და წარმოვაჩინოთ ის განმასხვავებელი ნიშნები, რასაც მიმდინარეობათა განსხვავებული ესთეტიკა ქმნის.

ამ ეტაპზე მოსწავლე უკვე თეორიული ცოდნის დონეზე უნდა ასხვავებდეს ლიტერატურულ მიმდინარეობებს, ჟანრებს, ერკვეოდეს მათ სპეციფიკურ ნიშნებში; იცოდეს - რა არის მხატვრული სინამდვილე, მხატვრული სახე, ტროპის სახეები, ლექსთწყობის ძირითადი საკითხები; შეეძლოს თხზულების დაწერა, მსჯელობა ნაწარმოების კომპოზიციაზე; აფიქსირებდეს და აანალიზებდეს ესთეტიკური ღირებულების ელემენტებს. მას უნდა ჰქონდეს ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები.

წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა

ამ ეტაპზე მოსწავლეს მეტნაკლებად ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა. მოსწავლეს თავისუფლად უნდა შეეძლოს დაუბრკოლებლად ნებისმიერი ხასიათის ტექსტის შინაარსის თხრობა; ლოგიკური მსჯელობა, საკუთარი აზრების დასაბუთება, მეცნიერებაში დამკვიდრებული შეხედულებების გადმოცემა, მსჯელობის გამტკიცება ციტატებითა და ტექსტუალური მასალით.

თავისუფალ თემებზე მსჯელობისას მოსწავლე უნდა იყენებდეს ლიტერატურულ მასალას; მას უნდა შეეძლოს პერსონაჟის დახასიათება თუ რომელიმე ლიტარატურული საკითხის წარმოჩენა. მსჯელობისას უნდა იყოს თანმიმდევრული, არ უნდა ებნეოდეს სათქმელი.

მოსწავლე სრულყოფილად უნდა აშუქებდეს დაწყებულ საკითხს და ლოგიკურად გადადიოდეს მეორეზე. მას უნდა შეეძლოს ვრცელი თემიდან ერთი რომელიმე საკითხის გამოყოფა და მასზე საგანგებო ყურადღების გამახვილება.

ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საშინაო და საკონტროლო წერებს.

ამ ეტაპზე მოსწავლემ უნდა შეძლოს ლიტერატურული პარალელების გავლება, რამდენიმე ნაწარმოების მიხედვით რაიმე საკითხზე მსჯელობა.

კითხვის კულტურა

მოზარდი აქტიურად უნდა კითხულობდეს მსოფლიო კლასიკური მწერლობის ნიმუშებს. ამ ეტაპზე ყალიბდება ლიტერატურული გემოვნება. მოზარდს უკვე შეიძლება მივანიჭოთ მეტი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. საკითხავი ლიტერატურა შედარებით მრავალფეროვანია. მოსწავლე ეცნობა პუბლიცისტიკას, ესეებს, სხვადასხვა ტიპის ნარკვევებს. მან საჭიროა იცოდეს ლექსიკონების, ენციკლოპედიების, საცნობარო ლიტერატურის გამოყენება. მოზარდს ზოგადი

წარმოდგენა უნდა ჰქონდეს იმ ქვეყანასა და ეპოქაზე, რომელშიც მოღვაწეობდა ესა თუ ის მწერალი.

მოსწავლე აქტიურად ეცნობა პრესას, თვალს ადევნებს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს, პირველად გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს, ახალ თარგმანებს.

ამ ეტაპზე მოზარდს უნდა შეეძლოს სწრაფი, ჩაღრმავებული კითხვა, მასალის გამოკრება, სკანირება.

მოსწავლის ძირითადი პრაქტიკული საქმიანობა

- სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის თხრობით დასწავლა (ცალკეული ეპიზოდების მოკლე შინაარსის, კომენტირებული შინაარსის გადმოცემა).
- ლექსისა თუ პროზაული საზეპირო მასალის დასწავლა;
- ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- მსჯელობა მასწავლებლის მიერ მიცემულ საკითხებზე (პერსონაჟის დახასიათება, ზოგადი პრობლემის წარმოჩენა, შეპირისპირებითი და პარალელური განხილვა, ლიტმცოდნეობით საკითხებზე მსჯელობა);
- საშინაო და საკონტროლო წერითი სამუშაოების დამოუკიდებლად შესრულება;
- გაკვეთილის პროცესში აქტიური ჩართვა, მოცემულ საკითხზე მსჯელობა და პრობლემური კითხვების წამოჭრა;
- კლასგარეშე სავალდებულო და ინდივიდუალურად საკითხავი ლიტერატურის კითხვა;
- მასწავლებლის მიერ დასახელებული დამატებითი მასალის წაკითხვა და დამუშავება;
- კლასგარეშე შემოქმედებით მუშაობაში მონაწილეობის მიღება (მასწავლებლის

მუშაობის ინდივიდუალური მეთოდებიდან გამომდინარე, შეიძლება, გამრავალფეროვნდეს მოსწავლეთა პრაქტიკული საქმიანობა).

ცოდნის შემოწმების გზები და საშუალებები

ტექსტის ცოდნის შემოწმება - ეპიზოდის თხრობა, საზეპირო მასალის გამოკითხვა, ტესტებისა და კითხვარების გამოყენება, მიზნობრივ კითხვებზე პასუხის გაცემა, ტექსტის კომენტირებული თხრობა.

აზროვნების, მსჯელობის უნარის, ცოდნის დონის შემოწმება ლიტერატურის თეორიაში - მოცემულ თეორიულ საკითხებზე მსჯელობა, პერსონაჟთა დახასიათება, თავისუფალ თემაზე მსჯელობა. ამ მიზნით ტესტებისა და კითხვარების გამოყენება.

ამ ეტაპზე შეიძლება გამოვიყენოთ ინდივიდუალური ჩათვლის მეთოდიც.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წერითი სამუშაოები.

სავალდებულო საბაზო განათლების დასრულებასთან დაკავშირებით სასურველია, წლის ბოლოს გამოვიყენოთ გამოკითხვის სხვადასხვა საშუალებანი - ტესტები და კითხვები, წერითი თუ ზეპირი გამოცდა და მოსწავლე შევაფასოთ ქულებით, რაც არა მარტო ცოდნის დონეს დაადგენს, არამედ გამოავლენს მოზარდის შესაძლებლობებსაც. ეს, გარკვეულწილად, დიფერენცირების საშუალებას მოგვცემს და მეტნაკლებად განსაზღვრავს მოზარდის განათლების შემდეგი ეტაპის ფორმასა და შინაარსს.

სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის დონის მისაღწევად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საკუთარი მეთოდიკა და მისი შესაბამისი გამოკითხვის სახეები.

სტანდარტით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნები

- მოსწავლეს მოეთხოვება სავალდებულო საპროგრამო მასალის ცოდნა;
- სავალდებულო კლასგარეშე ლიტერატურის წაკითხვა;
- ნაკითხობის მინიმალური დონე;
- თხზულების როგორც წერა, ასევე მისი თხრობაში გაშლა;
- გარდა იმ ამოცანებისა, რაც წინა საფეხურზე იყო წამოყენებული - თეორიულად გააზრება იმისა, რომ მხატვრული ნაწარმოები ლიტერატურული მთლიანობაა, პროგრამით გათვალისწინებული თეორიული საკითხების ცოდნა, ქართული ლიტერატურის განვითარების ესთეტიკური პრინციპების ისტორიულ ასპექტში მოაზრება.
- ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- თხზულების ლოგიკურად, თანმიმდევრულად აგება;
- კლასგარეშე საკითხავ მასალაზე, თავისუფალ თემაზე მსჯელობა.

შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელება მოითხოვს დიფერენცირებულ მიდგომას, როცა გათვალისწინებული უნდა იქნას მოსწავლის არა მარტო ინტერესები და სურვილები, არამედ მისი დონეც. მოცემული სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოსწავლე, რომელსაც სურს სწავლის გაგრძელება.

Georg-Eckert-Institut
für internationale
Schulbuchforschung
Braunschweig
-Schulbuchbibliothek -

საშუალო განათლება ლიტერატურის ისტორიის სწავლების პერიოდი

კვლავ ამოსავლად რჩება სწავლების პირველ ორ საფეხურზე შემუშავებული პრინციპები: ლიტერატურა ხელოვნების დარგია და მოსწავლეებსაც ასეთად უნდა გავაცნოთ (აუცილებელია ხელოვნების სხვა დარგების ნიმუშებთან მისი კავშირის წარმოჩენა და მისთვის სპეციფიური ენის მოსწავლეთათვის გაცნობიერება); სწავლების პროცესი უნდა ეყრდნობოდეს მშობლიურს, მაგრამ მოიცავდეს მსოფლიო ლიტერატურასაც (მის საუკეთესო ნიმუშებს); სასწავლო მასალა უნდა შეირჩეს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სწავლების ფორმა (დიფერენციაცია მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით) და ლიტერატურის სწავლების მიზანი განსაზღვრავს იმ მეთოდიკურ არსენალსაც, რომელიც გამოყენებული იქნება სწავლების პროცესში.

შესასწავლი მასალის შინაარსი

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით დგება შესასწავლ ქმნილებათა ნუსხა. ამ ეტაპზე მონოგრაფიულად შეისწავლება ქართული კლასიკური მწერლობა, მასალა მიეწოდება ისტორიზმის პრინციპის დაცვით. ახალ ნაწარმოებებთან ერთად გამეორებულ უნდა იქნას უკვე შესწავლილიც (რამდენადაც წინა საფეხურებზე შესასწავლია ქართული კლასიკური მწერლობის ბევრი ნიმუში). ეს მასალა უნდა გამთლიანდეს და გამოიკვეთოს არა მარტო ცალკეული მწერლების ეთიკური და ესთეტიკური პრინციპები, არამედ არსი მთელი ქართული მწერლობის, როგორც ეროვნული სულის გამომხატველი ფენომენისა, კონკრეტული პრობლემები წარმოჩინდეს საერთო კულტურულ ფონზე.

სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებში განსხვავებული პროგრამები შეიძლება შედგეს, მაგრამ ის საბაზო მასალა, რომლის ცოდნაც დღეს აუცილებელია სასწავლებელდამთავრებული ყოველი ახალგაზრდისათვის, ყველგან უნდა იყოს გათვალისწინებული.

მასწავლებელი უნდა იცავდეს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ საპროგრამო სტანდარტს, რომელიც მთლიანი პროგრამის 70%-ია. მასალის 30% მას შეუძლია შეარჩიოს ინდივიდუალური თუ საავტორო პროგრამებიდან.

მოსწავლის ძირითადი პრაქტიკული საქმიანობა

- სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის თხრობით ან ზეპირად დასწავლა;
- ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- საშინაო და საკონტროლო წერითი სამუშაოების, რეფერატების შესრულება (მასწავლებლის მიერ მითითებული მასალის დამუშავების საფუძველზე);
- გაკვეთილის პროცესში აქტიური მონაწილეობა; პრობლემურ კითხვებზე მსჯელობა;
- დისპუტებში მონაწილეობა;
- კლასგარეშე შემოქმედებით მუშაობაში მონაწილეობა.

ცოდნის შემოწმების საშუალებები

წინა საფეხურებზე გამოყენებულ საშუალებებს სწავლების ბოლო წელს შეიძლება დაემატოს სემინარული მეცადინეობები, რომლებისთვისაც მოსწავლეები მოამზადებენ რეფერატებს (მასწავლებლის მიერ წინასწარ მიცემულ თემებზე). ამგვარი მუშაობა კიდევ უფრო აღრმავებს სხვისი ნაზრევის კრიტიკული შეფასების უნარს, ავითარებს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, აფართოვებს მის თვალსაწიერს, ხელს უწყობს ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას.

ასაკობრივ თავისებურებებს ითვალისწინებს დისპუტის ფორმით გაკვეთილის ჩატარებისა და ცოდნის შემოწმების პრაქტიკაც, რადგანაც ამგვარი მუშაობისას თვითგამოხატვის, საკუთარი ნააზრევის სხვისთვის გაზიარების გაზრდილი მოთხოვნილება მოსწავლემ სრულად შეიძლება დაიკმაყოფილოს.

რასაკვირველია, მასწავლებელს შეუძლია სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის დონის მისაღწევად სხვა მეთოდები და ხერხებიც გამოიყენოს.

იცოდეს სავალდებულო საპროგრამო მასალა.

წაკითხული ჰქონდეს სავალდებულო კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა.

შეეძლოს ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობა, თხზულების დაწერა მიცემულ თემაზე, ლოგიკური, თანამიმდევრული მსჯელობა ლიტერატურული ქმნილების, მასში გაცხადებული ეთიკური ღირებულებების, ავტორის მიზანდასახულობისა და მიზნის მისაღწევად გამოყენებული მხატვრული საშუალებების შესახებ; შეძლოს მდარე ხარისხის ლიტერატურული პროდუქციის ჭეშმარიტი ხელოვნებისაგან გარჩევა და ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშით ტკბობა.